ლისის ტბის საბაგიროს შენობის რეკონსტრუქცია

თათია გველესიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, თანამედროვე არქიტექტურისა და მდგრადი განვითარების მიმართულების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია კუპატაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თათია გველესიანი

14.06.2025

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია თბილისში არსებული, მცირე მასშტაბის, საბჭოთა პერიოდის შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის პროექტი, მისი ქალაქ-გეგმარებით ჩარჩოში მორგების საკითხი. ასევე ქალაქის აქტიურ ცხოვრებაში ადაპტაციის საშუალების მოძიების გზები და მოსალოდნელი შედეგების ანალიზი.

სიტუაციის უკეთ გასააზრებლად წარმოდგენილია ისტორიული მიმოხილვა და განხილულია მსგავსი შინაარსის მქონე პროექტების საერთაშორისო მაგალითები. ასევე წარმოდგენილია ნაშრომზე მორგებული მოსახლეობის გამოკითხვის ანალიზი და სააპროექტო არეალის გასწვრივ 100 მეტრის რადიუსში ტერიტორიის კვლევა. ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ნაშრომის ბოლოს შემოთავაზებულია საპროექტო წინადადება.

კვლევის მიზანს წარმოადგენს თბილისში, საბურთალოს რაიონში მდებარე, ლისის ტბის ტერიტორიის მიმდებარედ არსებული ძველი საბაგიროს შენობა და მისი სამომავლო რეკონსტრუქციის პროცესები. კვლევის მიზანია აღნიშნულ შენობასთან მიმართებაში გაანალიზოს არქიტექტურული და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა. წარმოაჩინოს მსგავს ობიექტებთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება (შენობის ვიზუალის შენარჩუნება, ახალი ფუნქციის მორგება, კერძო მეპატრონის ინტერესების გათვალისწინება, საზოგადოებრივი მოთხოვნილების გაგება) და მათი გადაჭრის გზების ძიება.

შერჩეული შენობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც საბჭოთა პერიოდის ბოლოს თბილისში ჩამოყალიბებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ეპოქის მაგალითი, რომელიც დღეის მდგომარეობით ფუნქცია დაკარგულია და სხვა ბევრი საინტერესო შენობის მსგავსად დანგრევის პირას არის.

კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა მსგავსი ქალაქგეგმარებითი ერთეულების გასაუმჯობესებლად, თუმცა აუცილებლად უნდა აღნიშნოს, რომ ასეთ შემთხვევაში მისაღებია მხოლოდ კვლევის ზოგადი

მიდგომების გათვალისწინება, ხოლო თითოეული განსხვავებული ლოკაცია დამოუკიდებელ კვლევის საგანს უნდა წარმოადგენდეს.

კვლევის საბოლოო შედეგად და შემაჯამებელ რეკომენდაციად შეგვიძლია მივიჩნიოთ მიღებული ინფორმაციის ანალიზის გათვალისწინებით შექმნილი საპროექტო წინადადება, რომელიც გაითვალისწინებს ქალაქის მდგრადი განვითარების პრინციპებს, არსებულ ტურისტულად დატვირთულ ტერიტორიას უფრო მიმზიდველს გახდის და ამასთან მიმდებარე ტერიტორიაზე მზარდი ურბანული განვითარების პროცესში მოსახლეობის მოთხოვნილებებსაც გაითვალისწინებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები:

თბილისი, ლისი, საბაგირო, ურბანული ქსოვილი, რეკონსტრუქცია, საზოგადოებრივი სივრცე, ადაპტაცია, ინფრასტრუქტურული ობიექტი.